პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 იანვარი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 17 (9936) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მშობელთა თხოვნით ● მიაქციეთ ყურადღება!

## ახალი მოთხოვნები პერსპექტიულ სპორტსმენთა სიაში მოსახვედრად

**სამი** წელია, რაც „ლელოში" ზედიზედ ქვეყნდება იმ სპორტსმენთა სია, რომლებსაც რესპუბლიკის სპორტსახკომი, სპეციალისტების წარდგინებით, დიდი სპორტის ღირსეულ ცვლად მიიჩნევს. ესაა იმ გეგმაზომიერი და მიზანმიმართული მუშაობის ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რაც რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მხარდაჭერით ხორციელდება. პერსპექტიული სპორტსმენები იმსახურებენ ყურადღებას, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა დაინტერესებულია იმით, რომ სრულად გამოვლინდნენ სპორტული ტალანტები, ამასთან უზრუნველყოფილ იქნეს მათი ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიული განვითარება, სწავლისა და სპორტის ურთიერთშეთავსება და ა. შ.

ჩვენი გაზეთის გასული წლის 27 ნოემბრის ნომერში რუბრიკით „მიაქციეთ ყურადღება!" გამოვაქვეყნეთ წერილი, სადაც ვრცლად იყო განმარტებული 1989 წელს თუ ვინ რა მონაცემებით მოხვდებოდა პერსპექტიულ სპორტსმენთა სიაში. მაშინ ვწერდით: „არც ის არის დასამალი, რომ შემდეგ ეს სია იქნება საფუძვლად რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად სპორტსმენთა რეკომენდაციას. სიაში შეჰყავთ მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებიც აკმაყოფილებენ კონკრეტულ მოთხოვნებს, ამ მიმართებით მიმდინარეობდა კრიტერიუმების სრულყოფა. დღეს კი უკვე ხელთა გვაქვს რესპუბლიკის სპორტსახკომის ბრძანება, რომლითაც, სპეციალისტებს შორის ფართო მსჯელობის შემდეგ, უკვე საბოლოოდ დადგინდა ის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება პერსპექტიულ სპორტსმენთა სიის შედგენისას".

ახლა კი განმეორებით გთავაზობთ ამ მოთხოვნებს. წელს სიაში მოხვდებიან ისინი, ვინც:

**1. ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში ჩარიცხულია სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატად (სსრ კავშირის სპორტსახკომის ოფიციალური სიით);**

**2. უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდების წევრები (ვაჟთა კალათბურთი, წყალბურთი, რეგბი, ფეხბურთი).**

**შენიშვნა:** სპორტულ თამაშებში სიაში შესაყვანთა რეკომენდაციებს იძლევიან გუნდების უფროსი მწვრთნელები, სპორტსახკომის განყოფილებათა გამგეების ვიზით და უთანხმებენ სპორტსახკომის თავმჯდომარის იმ მოადგილეს, რომელიც ხელმძღვანელობს კონკრეტულ სპორტის სახეობას.

**3. სპორტსმენები, რომლებიც პირად ან გუნდურ საკავშირო ჩემპიონატებში ბოლო ერთი კალენდარული წლის განმავლობაში დაიკავებენ:**
**I-III ადგილს** — აკრობატიკაში, აფროსნობაში, ბადმინტონში, ბატუტზე ხტომაში, კრივში, თავისუფალ ჭიდაობაში, კლასიკურ ჭიდაობაში, ხამბოში, ძიუდოში (ვაჟები და გოგონები), აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ბაიდარებით და კანოეთი ნიჩბოსნობაში, ცხენოსნობაში, სინქრონულ ცურვაში, წყალში ხტომაში, თანამედროვე ხუთჭიდში, მშვილდოსნობაში, ტყვიის სროლაში, ხასტენდო სროლაში, ჩოგბურთში, ძალოსნობაში, ჭადრაკში, შაშში;
**I-IV ადგილს:** მაგიდის ჩოგბურთში, ტრეკზე ველორბოლაში;
**I-VI ადგილს:** სპორტის ზამთრის სახეობებში, მხატვრულ ტანვარჯიშში (ჯგუფური ვარჯიში), ველოსპორტში (საგზატკეცილო რბოლა, მრავალდღიანი რბოლა — პირადი ადგილები);
**V-VIII ადგილს:** სპორტულ ტანვარჯიშში, მხატვრულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში;

**4. IV საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების მონაწილეები (საკითხს განიხილავენ პერსონალურად, გვარებით სპორტსახკომის თავმჯდომარის იმ მოადგილესთან, რომელიც ხელმძღვანელობს სპორტის მოცემულ სახეობას).**

## პირველი გამოცდა სეულის შემდეგ

**მინსკი.** „კლასიკოსთა" საკავშირო ჩემპიონატზე აღინიშნა რამდენიმე მართლაც სრულიად მოულოდნელი შედეგი. მათ შორის კი განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ორი: ოლიმპიური ჩემპიონების ლევონ ჯულფალაკიანისა (ლენინაკანი) და კომანდარ მაჯიდოვის (მინსკი) მარცხი, რომელმაც ეს ორი ტიტულოვანი მოჭიდავე პრიზიორთა მიღმა დატოვა.

ლევონ ჯულფალაკიანი, როგორც ჩანს, ვერ მოემზადა კარგად ჩემპიონატისთვის და რამდენიმე შეხვედრა წააგო. ამიტომ მისი მარცხი, ასე თუ ისე, კანონზომიერია. მაჯიდოვს კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნიკალური რამ შეემთხვა. ხუთი გამარჯვების შემდეგ, როცა გადამწყვეტი შეხვედრისთვის ემზადებოდა, წონას გადააჭარბა და, ცხადია, გათამაშებიდან მოიხსნა.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ 100 კგ წონაში ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი გურამ გედეხაურმა მოიპოვა. გურამი შარშან სეულის ოლიმპიურ თამაშებში წარუმატებლად გამოვიდა. ყოველ შემთხვევაში გულშემატკივრები მისგან მეშვიდეზე უკეთეს ადგილს ელოდნენ. ვერ ვიტყვით იმას, რომ სეულში ჩვენი თანამემამულე მოუმზადებელი ჩავიდა, ვერ ვიტყვით, იმიტომ, რომ წმინდად დაამარცხა ანჯეი ვრონსკი, პოლონელი მოჭიდავე, რომელიც ბოლოს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და ამერიკელი დენის კოზლოვსკი, რომელსაც იმავე სეულში ბრინჯაოს მედალი ერგო.

როგორც ხედავთ, გედეხაური არც ერთ პრიზიორზე სუსტი არ იყო, მაგრამ მას, როგორც ჩანს, არ ეყო ფსიქოლოგიური მომზადება, მორალური სიმტკიცე და ყველა ორთაბრძოლა ერთნაირი ძალით ვერ ჩაატარა.

სეულის გაკვეთილებს უდავოდ ნიჭიერი და გამოცდილი მოჭიდავისთვის ფუჭად არ ჩაუვლია. ეს



გურამ გედეხაური

მან მინსკის საკავშირო ჩემპიონატზეც დაამტკიცა, რომელიც მოიგო დაჯერებულად, მტკიცედ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე. წლევანდელ სეზონში საბჭოთა ნაკრებს ბევრ საპასუხისმგებლო ტურნირში მოუწევს გამოსვლა და დარწმუნებული ვართ, ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი თავისი კეთილი სახელისა და ავტორიტეტის აღდგენას შესძლებს.

გაგაცნობთ სხვა წონით კატეგორიებში გამარჯვებულებსაც: 48 კგ — ოლეგ კუჩერენკო (ვოროშილოვგრადი), 57 კგ — ალექსანდრე შესტაკოვი (გროდნო), 68 კგ — ისლამ დუგუჩიევი (როსტოვი), 82 კგ — ვიქტორ მალოვი (მოსკოვი). 52 კგ — ანდრეი კალიშნიკოვი (კიევი), 62 კგ — გენადი ატმაკინი (სარანსკი), 74 კგ — დავლეთ ტურლიხანოვი (ალმა-ათა), 90 კგ — პაველ პოტაპოვი (ულიანოვსკი), 130 კგ — ალექსანდრე კარელინი (ნოვოსიბირსკი).

ელვა-ინფორმაცია

## თიბილოვი და ვახტანგიშვილი — ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები

**იგლსი** (ავსტრია). აქ ჩატარდა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი ციგაობაში. ორადგილიან მარხილებით ასპარეზობაში ოქროსა და ვერცხლის მედლები საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ. ჩემპიონები გახდნენ ანდრეი ნოვიცკი და იგორ ლავროვი, მეორე ადგილი კი ლევან თიბილოვს და კახი ვახტანგიშვილს ხვდათ. გოგონათა შორის გამარჯვება ანდრეა ტაგვერკერმა (ავსტრია) მოიპოვა, ბიჭებში — გერჰარდ პლანკენშტაინერმა (იტალია).

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**როგორც** ვიუწყებოდით, 17 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნები რესპუბლიკის ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

ბიუროს დადგენილებიდან გამომდინარე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა წინაშე მდგარ ამოცანებს მიეძღვნება რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის სხდომა, რომელიც დღეს გაიმართება თბილისში. დასაწყისი 17 საათზე.

მისამართი: ლენინის, 14.

### საქართველოს ჩემპიონატი წყალში ხტომაში



ნანა ნებიერიძე



დიანა მჭედლიძე



გიორგი ჩოგოვაძე



გოჩა გახარია



გიორგი შელიუგოვი

## მრავალი განზომილებით გამორჩეული

მრავალი წელია საქართველოს წყალში მხტომელთა ჩემპიონატებს ვესწრები, მაგრამ ჯერ არ მინახავს, უფრო სწორედ, არ მსმენია, რომ მსაჯ-ინფორმატორს ქართულად წარედგინოს ასპარეზობის მონაწილენი, ქართულად გამოეცხადებინოს პროგრამა, მონაწილეთა მიერ მიღებული ქულები...

და აი, როგორც იქნა, ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა — თბილისში, ვაკის საცურაო აუზში გამართული წყალში მხტომელთა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი ქართულ ენაზე ჩატარდა.

როგორც შეჯიბრების მსაჯმა-ინფორმატორმა ალექსანდრე ბართაიამ გვითხრა, მომავალშიც ასე იქნება, რაც სხვა სიკეთესთან ერთად ქართული სპორტული ტერმინოლოგიის, კერძოდ წყალში ხტომის სპეციფიკური ტერმინოლოგიის დახვეწა-განვითარებასაც ხელს შეუწყობს.

ამ შეჯიბრების მეორე სასიამოვნო მხარე ისიც იყო, რომ ასპარეზობა მეტად წარმომადგენლობითი აღმოჩნდა. წარმომადგენლობითი იმ მხრივ, რომ სარბიელზე ვიხილეთ სსრ კავშირის თასის მფლობელებიც, ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ჩემპიონიც. რესპუბლიკურ ჩემპიონატში ასეთი ტიტულოვანი სპორტს-

იხ. მე-3 გვ.



ხარვეზებზე — საჯაროდ! — საქართველოს ჩემპიონატი მშვილდოსნობაში

**ხშირად** ერთი ნათელი მაგალითი, ერთი დიდი გამარჯვება საკმარისია, რომ მთელ ქვეყანაში მკვეთრად იმატოს სპორტის რომელიმე სახეობის პოპულარობამ, ათასობით მოგვევლინონ ვარჯიშის მსურველნი. ასეთი შემთხვევა ბევრია, თუნდაც ის გავიხსენოთ, როგორი მძლეოსნური ბუმი გამოიწვია პორტუგალიაში შესანიშნავი მორბენლის კარლუშ ლოპეშის წარმატებამ ოლიმპიურ თამაშებზე, — მან პირველი ოლიმპიური მედალი მოიპოვა ამ ქვეყნის მძლეოსნობის ისტორიაში.

ჭუმისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მოსკოვის ოლიმპიადაზე ქეთევან ლოსაბერიძის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ სპორტის ეს ძველისძველი სახეობა, რომელსაც ჯერ კიდევ არ შემოძარცვია რომანტიზმის საბურველი, უფრო პატივდებული გახდებოდა. დიახ, ასე ვვარაუდობდით, მაგრამ პირიქით მოხდა...

ალბათ უკვე მიხვდით, წერილში დალხინებაზე არ გვექნება ლაპარაკი. მშვილდოსნობას მართლაც უჭირს, აკლია ბაზები, აკლია მწვრთნელთა კადრები და... მშვილდებიც კი.

მშვილდზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, დელიკატური თემაა, თუმცა ნამდვილად კარგი იარაღი ვალუტაზე უნდა შეიძინო. მაგრამ, თუ კი ამ სახეობის განვითარებაზე გული შესტკივა კაცს, იგი უნებურად მაინც დაფიქრდება იმაზე, რომ საქართველოს ნაკრებს 1985 წლის შემდეგ კარგი ხარისხის, ახალი მშვილდები არ მიუღია.

რესპუბლიკის წლევანდელ ზამთრის ჩემპიონატზე (ეს შეჯიბრება რამდენიმე დღის წინ დამთავრდა სპორტსახკომის მძლეოსნობის მანეჟში, ამ წერილში მასზეც გვექნება საუბარი) თავად შევესწარით ასეთ სურათს: „გამიძლებს ლარი?" — ეკითხებოდა ერთ-ერთი სპორტსმენი მწვრთნელებს. სპეციალისტთა „კონსილიუმმა" მისთვის სამწუხარო დასკვნა გამოიტანა — ვერ გაგიძლებსო, და მსროლელმა თავისი ადგილი გუნდში ამხანაგს გადაულოცა, რომელსაც უფრო გამართული მშვილდი ჰქონდა.

— სულ ჩვენი ნაკეთებ-ნაწვალებია ეს იარაღები, — თქვეს მწვრთნელებმა.

იარაღის შეკეთებას და გაწყობას, ასე თუ ისე, ახერხებენ, მაგრამ ბაზების საკითხს, ცხადია, ასეთი ხერხით ვერ გადაწყვეტ. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მშვილდოსნებს არასდროს ჰქონიათ კარგი სასროლეთი. არა უშავდა „ლოკომოტივის" სტადიონის ბაზას თბილისში, მსროლელები

იხ. მე-2 გვ.

# სამიზნე გულგრილობაც არის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამიზნე გულგრილობაც არის...

(დასასრული)

იოლას გადიოდნენ, მაგრამ ახლა ამ სტადიონზე კაპიტალური რემონტია, რომელიც მალე არ დამთავრდება. სულ უიმედოდ რომ არ დარჩენილიყვნენ, მშვილდოსნებმა მშენებლებს სთხოვეს, სანამ მოცდა შეიძლებოდა, მიწა არ დაეყარათ სროლის სექტორში.

მართალია, ახლა მუშავდება ახალი სასროლეთის პროექტი, რომელიც, წინასწარი ვარაუდით, დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე უნდა აშენდეს (შესანიშნავი სასროლეთი იქნება, იქ მსოფლიო ჩემპიონატსაც კი ჩაატარებ — გვითხრა სპორტსახკომის წარმომადგენელმა), მაგრამ ეს მომავალში, დღეს... თანამედროვე სპორტი ვარჯიშში „ფანჯარას“ არ გაპატიებს — გაცდენილი დრო ძვირად ნაზღაურდება.

დღესდღეობით კი საქართველოს ნაკრებს, რომელსაც ღია ცის ქვეშ გეგმაზომიერი ვარჯიშისთვის სულ ცოტა რვა-ათი სამიზნე ფარი სჭირდება, ფაქტობრივად არც ერთი არა აქვს, თუ „ლოკომოტივის“ ამ დანგრეულ ბაზას არ ჩავთვლით.

დახურული ბაზა არის სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ სასახლეში, სადაც მხოლოდ სამი ფარის დადგმა შეიძლება. აი, ეს არის ზამთარ-ზაფხულ რესპუბლიკის ნაკრების თავშესაფარი (გუნდის წევრთა უმეტესობას, თითქმის 90 პროცენტს „შრომითი რეზერვების“ აღზრდილები შეადგენენ). მართალია, თითო-ოროლა ფარი დგას საქართველოს პოლიტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში, აგრეთვე უნივერსიტეტში, მაგრამ... „თუ მართლა



დავით ლეკვეიშვილი.

მაღალი შედეგების მოპოვება გსურს, იქ არ უნდა ივარჯიშო, — გვითხრა რესპუბლიკის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვლადიმერ ლეკვეიშვილმა, — მაგრამ რა ვქნათ, სხვა გზა არა გვაქვს. გულითაც რომ გინდოდეს, დილიდან საღამომდე იმუშაო და საქმე გააკეთო, ამის საშუალება არ არის, სავარჯიშო ადგილი არ გექნება“...

ღია სასროლეთი მართლაც ძალიან სჭირდებათ თბილისელ მსროლელებს, თუმცა არც სხვა რეგიონებშია უკეთესად საქმე.

ქუთაისში, ადრე ჩვენი მშვილდოსნობის უპირველეს და უძლიერეს ცენტრში, ბოლო ხანს თითქმის არაფერი კეთდებოდა ამ სახეობის წინსვლა-განვითარებისთვის. ერთი წელია, რაც იქ მშვილდოსანთა მომზადება განაახლეს ახალგაზრდა სპეციალისტებმა მიხეილ ჩხეიძემ, ივანე გოშხეთელიანმა და ილდარ არველაძემ. ისინი და მათი მოწაფეები შეიკედლა კოოპერაციული ტექნიკუმის დირექციამ და თავისი 30-მეტრიანი დარბაზი დაუთმო. ესაა მთელი მათი სასროლეთი...

ბათუმში შედარებით უკეთესი პირობებია, მაგრამ ანგისის სპორტული კომპლექსი თვითდაფინანსებაზე გადავიდა და... „ახლა მე სავარჯიშოდ მხოლოდ ორი ფარის დადგმა შემიძლია მოვითხოვო, — გვითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ამირან შოუამ, — მეტი იჯარის გადახდა არ შეუძლიათ არც პროფკავშირების და არც უმაღლესი დაოსტატების სპორტულ სკოლებს, სადაც თითო ჯგუფს ვავარჯიშებ. არადა, ხუთი-ექვსი ფარი მაინც მჭირდება. ავდარში წვრთნაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, გვაქვს ერთი ცივი ოთახი, ზომით 3X4 მეტრი (!), და იქ უნდა ივარჯიშო. რიგით შეჯიბრებებშიც ვერ გამოცდი შეგირდებს, ახლომახლო რაიონებში ჯგუფები არ არის და ვერავის შეეჯიბრები“.

ჩვენ იმას როდი ვამტკიცებთ, თითქოს საქართველო სავსეა ბეჯითი, ნიჭიერი მშვილდოსნებით და დაუღალავი, გამრჯე სპეციალისტებით, რომლებიც, მშვილდსა და კარგ სასროლეთს თუ მისცემ, მთებს გადააბრუნებენ. „იმათი რიცხვი, ვისაც მართლაც მშვილდოსანი შეიძლება დაუძახო, გაცილებით ცოტაა, ვიდრე ოფიციალურად არის აღნიშნული“, — გულახდილად გვითხრეს სპეციალისტებმა. ცხადია, ეს ნათქვამი სერიოზული პრეტენზიაა ზოგიერთი მწვრთნელის მიმართ და იგი, თუ ჩვენს მშვილდოსანთა შედეგებს გადავხედავთ, საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული. მაგრამ, ვინც მართლა მუშაობს, იმან რა დააშავა?.. ამჟამად არსებულ პირობებშიც კი შეიძლება გამოჩნდნენ ნიჭიერი მშვილდოსნები. თბილისელმა ვადიმ რეშეტოვმა, ალბათ ბევრს ახსოვს, სამი წლის წინ ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა იუნიორთა შორის. და მერე, ოცი წლისამ... ვარჯიშს თავი დაანება. თბილისის რკინიგზის №2 სკოლის მეათეკლასელი მოსწავლე ნატო ნასარიძე შარშან ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობდა და მხოლოდ ერთი ქულა დააკლდა, რომ ფინალში გასულიყო...

— საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის ჩვენ, პირველ ყოვლისა, მისი იმედი გვაქვს, — გვითხრა ვლადიმერ ლეკვეიშვილმა. — გუნდის მეორე წევრი სულიკო თოფურია იქნება, მაგრამ მესამე სპორტსმენი ჯერჯერობით ვერ შეგვირჩევია, კიდევ ვყოყმანობთ. სხვებზე მეტ იმედს იძლევიან ბათუმელი ტატიანა შოუა და თბილისელი ხათუნა ჟღენტი.

ვაჟთა გუნდი კი მთლიანად, თანაბარი ძალის მსროლელებისგან შედგება და იგი სიძლიერით, უნდა ვაღიაროთ, გოგონებისას ჩამორჩება. კანდიდატთა შორის არიან თბილისელები დავით ლეკვეიშვილი, გიორგი დოლიძე, გიორგი გოძიშვილი და ბათუმელი თემურ მორგოშიძე..

საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებამდე ჯერ დიდი დროა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში მართლაც ზემოაღნიშნულმა სპორტსმენებმა გამოიჩინეს თავი. განსაკუთრებით აღსანიშნავია გოგონების შედეგი. ნატო ნასარიძემ ფინალში (ფიტას დიდი წრე) 334 ქულა მოაგროვა (სულ 2525) და გაიმარჯვა. მეორე ადგილზე გავიდა თბილისის 51-ე სკოლის მეათეკლასელი სულიკო თოფურია — 326 (2501), მესამე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ნაზი დიასამიძე — 307 (2384).

ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა თბილისის 178-ე სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეს დავით ლეკვეიშვილს — 301 ქულა, ასეთივე შედეგით თბილის-



ნატო ნასარიძე.

ის სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხეკურსელმა კახა შარაშიძემ მეორე ადგილი დაიკავა, რადგან იგი დამატებით სერიაში ჩამორჩა (20:22) თავის ახალგაზრდა მეტოქეს. თბილისის №5 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ გიორგი გოძიშვილმა III ადგილი მოიპოვა. — 298.

როგორც შეჯიბრებაზე გამოირკვა, პრობლემა ყოფილა სპეციალისტთა სამსაჯოდ მიწვევა. ყველას მოწაფეები ჰყავს და ურჩევნიათ მათ უხელმძღვანელონ სროლის დროს. ამიტომ გვინდა რამდენიმე კეთილი სიტყვა ვთქვათ ორ სპეციალისტზე, რომელთა მხრებზე გადადის რესპუბლიკურ ასპარეზობათა უმრავლესობის ჩატარების ტვირთი. ლაპარაკია საკავშირო კატეგორიის მსაჯ გივი დავითაშვილზე, რომელიც ამ ჩემპიონატზეც მთავარი მსაჯის მოვალეობას ასრულებდა, და რუბენ კაცობაშვილზე — ჩემპიონატის მთავარ მდივანზე. იოლი არ არის ჩაატარო ასპარეზობა, როცა გამართული სასროლეთი არსად გეგულება.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

• • •

**გუნდური პირველობის შედეგები**

**ვაჟები.** 1. თბილისი-I — 880 ქულა; 2. აჭარა-I — 858; 3. თბილისი-II — 850.

**ქალები.** 1. თბილისი-I — 904; 2. თბილისი-II — 888; 3. აჭარა —658.

შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ აზერბაიჯანელი მსროლელები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

# შეჯიბრებაზე გამოვლინდა მოსწავლეთა სუსტი ფიზიკური მომზადება

**ქუთაისში** დიდი პოპულარობა მოიპოვა სპორტკლუბ „ლოკომოტივის“ საქალაქო საბჭოს სპარტაკიადამ, რომელიც მესამედ ჩატარდა. მასში ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისის მე-11, მე-12 და 23-ე საშუალო სკოლების 350 მოსწავლე მონაწილეობდა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მძლეოსნობაში, მშდ-ს მრავალჭიდში, კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

კარგი ფიზიკური მომზადება და გამარჯვებისკენ დაუოკებელი სწრაფვა გამოავლინეს რკინიგზის 23-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ჟ. ფოფხაძე, ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი ვ. კუპრაშვილი) მოსწავლე სპორტსმენებმა. მათ კალათბურთელთა, ფრენბურთელ ვაჟთა და მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებებში დაიკავეს II-III ადგილები, დანარჩენში კი გაიმარჯვეს და მეტოქეებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდნენ.

საერთო გუნდურ პირველობაში II-III ადგილები შესაბამისად მე-12 და მე-11 საშუალო სკოლების გუნდებმა დაიკავეს.

სამწუხაროდ, სპარტაკიადამ ბევრი ხარვეზიც გამოავლინა, მოსწავლეები სუსტად იყვნენ მომზადებულნი მძლეოსნურ სახეობებში, ფრენბურთში, თუმცა სპორტის არც სხვა სახეობაში იგრძნობოდა სათანადო დონე.

სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა, სპორტკლუბ „ლოკომოტივის“ უფროსმა ინსტრუქტორმა ჯ. ხარაბაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ, მართალია, შეჯიბრებებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს მოსწავლე-სპორტსმენთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის საქმეში, მაგრამ დღეისათვის მათი მომზადების დონე არ გვაკმაყოფილებსო.

იმედია, სკოლების ხელმძღვანელები დაინტერესდებიან სპარტაკიადაზე მათი გუნდების ნაჩვენები შედეგებით და საჭირო ღონისძიებებს გაატარებენ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაცილებით მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

**თამაზ კოლხიდელი,**
(„ლელო“ საკ. კორ.).

ქუთაისი.

**დეპეშები, დეპეშები...**

# თბილისის „დინამოს“ მხარს უჭერენ

„გთხოვთ ჩამთვალოთ თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის წევრად. საწევროს ქვითარს ანგარიშის გახსნისთანავე გამოგიგზავნით. ჩემს საყვარელ თბილისის „დინამოს“ ვუსურვებ წარმატებებს. დაე, დინამოელთა ლამაზი თამაშით კვლავ იხიბლებოდეს ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივარი — ნონა ქარჩავა, სოფ. ახუთი, ჩხოროწყუს რაიონი“.

„ვარ ცხაკაიას რაიონის სოფ. ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი. გთხოვთ გამაწევრიანოთ „დინამოს“ საფეხბურთო კლუბში — იური ტყებუჩავა“.

„დინამოს“ ვგულშემატკივრობ 1945 წლიდან. 1964 წელს ვესწრებოდი ტაშკენტში გამართულ მატჩს, როცა ჩვენი „დინამო“ პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. სურვილი მაქვს ვირიცხებოდე დინამოელთა კლუბის წევრად — ქორა ბიბლაია, გალი“.

„რაც თავი გვახსოვს, „დინამოს“ ქომაგები ვართ. ეს არის ჩვენი უსაყვარლესი გუნდი. თითქმის თამაშს არ ვაცდენთ არც თბილისში, არც მის ფარგლებს გარეთ. გთხოვთ გაგვაწევრიანოთ კლუბში. ყოველგვარ თანხას გადავიხდით — ალექსანდრე ბეზარიაშვილი და ნანა კასრაძე — ინჟინრები, თბილისი“.

„ვმუშაობთ კოოპერატივ „შევარდენში“. დიდი სურვილი გვაქვს გავხდეთ დინამოელთა კლუბის წევრები. საწევროს გადახდის ქვითარს გამოგიგზავნით — მიხეილ და შალვა სვანიძეები, მახარაძე“.

ანალოგიური შინაარსის დეპეშები გამოგვზავნეს: ანა ბუზალაძემ (სოფ. მჭადიჯვარი, დუშეთი), მელანო გოქაძემ (სოფ. ლაილაში, ცაგერი), ზაზა ბელტანიამ, თინაზი დარასელიამ, ი. მესხიამ, ლ. შერვაშიძემ (ყველა — ცხაკაია), კახაბერ ყოლბაიამ (გალი), დელმან ქურიძემ (ლანჩხუთი), გიორგი მამაცაშვილმა (თბილისი). გიორგი მითაგვარიამ, თენგიზ და თამაზ სიხარულიძეებმა (ქობულეთი), მამია კვარაცხელიამ (ზუგდიდი). რამდენიმე დეპეშაში სახელი და მამის სახელია მითითებული, გვარი კი გამორჩენილია, რის გამოც ვერ ვაქვეყნებთ.

„დინამოს“ საფეხბურთო კლუბში გაწევრიანების მსურველებს ვაცნობებთ, რომ სახელმწიფო ბანკში კლუბის ანგარიშსწორების ნომრის გახსნის საკითხი გვარდება და მისი გამოქვეყნება რედაქციას ნავარაუდევი აქვს შაბათს, 28 იანვარს.

# არის პირველი სპონსორიც

**გამოჩნდა** თბილისის საფეხბურთო კლუბის პირველი სპონსორიც — ესაა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ტრიკოტაჟის სპორტული ნაწარმის ფაბრიკა და უქსოვადი მასალების ექსპერიმენტული ფაბრიკა. ორივე ფაბრიკა მოწინავეთა შორისაა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს სისტემაშიც. ამ ფაბრიკებს არაერთგზის გაუმარჯვნიათ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მუდამ წარმატებით ასრულებენ საგეგმო დავალებებს, უმჯობესდება ტექნოლოგია, ინერგება თანამედროვე მაღალმწარმოებლური მოწყობილობები, რაც მომავალში კიდევ უფრო განამტკიცებს საწარმოთა ავტორიტეტს. ამ კოლექტივების 13 მუშისა და მოსამსახურის საქმიანობა აღნიშნულია მთავრობის ჯილდოებით.

1988 წლიდან ორივე ფაბრიკა გადავიდა სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე. სპონსორობა, როგორც ამ კოლექტივებს მიაჩნიათ, ორმხრივ იქნება სასარგებლო.

სპონსორისა და საფეხბურთო კლუბის კონკრეტულ ურთიერთობაზე ახლო მომავალში ცალკე გესაუბრებით.

# სარაიონო პირველობაზე

**სამტრედიის** „ლოკომოტივის“ სპორტულ დარბაზში რამდენიმე დღე მიმდინარეობდა სარაიონო პირველობა ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. მასში მონაწილეობდა რაიონის წარმოება-დაწესებულებების, ტექნიკუმებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების 10 გუნდი.

ჩემპიონატში კარგად იასპარეზა და პირველი ადგილი დაიკავა სამტრედიის №28 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდმა, ხოლო მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე შესაბამისად გამოვიდნენ რკინიგზის დასახლებისა და დაბა კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის გუნდები.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ჩემპიონატს ბევრმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა აარიდა თავი. ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებს მეტი ყურადღება და მონდომება რომ გამოეჩინათ, შეჯიბრებაში ბევრი გუნდი მიიღებდა მონაწილეობას. ამით ასპარეზობაც უფრო საინტერესო იქნებოდა.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

## მოკლედ

**წალენჯიხაში** დამთავრდა რაიონის პირველობა ფეხბურთში წარმოება-დაწესებულებების გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 9 გუნდი. ფინალურ მატჩში, რომელიც წალენჯიხის ცენტრალურ სტადიონზე შედგა, ერთმანეთს შეხვდნენ ადგილმრეწველობის კომბინატისა და ჩაის ფაბრიკების გაერთიანების გუნდები. საინტერესო მატჩი დამთავრდა ადგილმრეწველობის კომბინატის ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვებით — 5:3.

**ვახტანგ ქუჩულორია.**

## ინფორმაცია

**ბერლინი.** გდრ-ის მძლეოსანთა პირველ ოფიციალურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ბირთვის კვრაში ულფ ტიმერმანი. მან აჩვენა დახურული დარბაზებისთვის სეზონის საუკეთესო შედეგი — 22,04 მ.

**ვიტენბერგი** (გფრ). ბობსლეისტთა ევროპის ჩემპიონატში წარუმატებლად გამოვიდნენ რიგელები იანის კიპურსი და ალდის ინტლერსი, რომლებმაც ორადგილიანი „ბობებით“ ასპარეზობაში მხოლოდ 3.53,93 აჩვენეს და VII ადგილი დაიკავეს. გამარჯვება აქ შვეიცარიის დუეტს (გუსტავ ვებერი და ბრუნო ჰერბერგი) ხვდა წილად — 3.51,61.

## უმაღლესი ლიგის დინამოელ წყალბურთელთა ტურნირი

# ორი — მინუს ერთი

**როგორც** ვიუწყებოდით, წყალბურთელთა თბილისის საკავშირო ტურნირზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატისთვის მზადების ნიშნით ტარდება, ალმა-ათის დინამოელები მესამე ტურის დაწყებამდე უამინდობის გამო ვერა და ვერ ჩამოვიდნენ.

და აი, ალმაათელები, როგორც იქნა, მესამე ტურისთვის თბილისის ვაკის საცურაო აუზში გამოჩნდნენ. მათ პირველი შეხვედრა თბილისელ თანაკლუბელებთან ჩაატარეს. მოსალოდნელი იყო, რომ რამდენიმე დღის მგზავრობის შემდეგ დაღლილ-დაქანცული ჩვენი სტუმრები თბილისში პირველ შეხვედრას წააგებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ალმაათელებმა გაიმარჯვეს 10:7.

მესამე ტურში კიეველმა დინამოელებმა თავიანთი ლვოველი თანაკლუბელები დაამარცხეს 13:11.

ამ დღეს თბილისის ასკ-ის წყალბურთელები ისვენებდნენ.

ამრიგად, თბილისის დინამოელებმა უმაღლესი ლიგის გუნდებთან შეხვედრები უქვე დაამთავრეს. მათ ორი გამარჯვება იზეიმეს, ხოლო ერთი მატჩი წააგეს.

**ავთანდილ ჟუჟიშელი.**



**ს უ რ ა თ ზ ე: სარბიელზე არიან თბილისელი და კიეველი თანაკლუბელები.**

ავტორის ფოტო.

# მრავალი განზომილების გამორჩეული

(დასასრული)

მენების გამოსვლა სპორტის სხვა ბევრი სახეობის წარმომადგენლებს შეშურდებათ.

რაც შეეხება სპორტსმენთა ტექნიკურ მაჩვენებლებს, ეს შეჯიბრება ამითაც გამორჩეული იყო. სპორტსმენები გათამაშებული თვრამეტი საპრიზო ადგილიდან თხუთმეტჯერ სპორტის ოსტატის ნორმატივის შედეგით ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკზე.

ეს იმანაც განაპირობა, რომ თითოეულ სახეობაში გამარჯვებისათვის, სულ ცოტა, სამი სპორტსმენი მაინც აცხადებდა პრეტენზიას და პირველობისთვის თავგამოდებით იბრძოდნენ. ამაზე ისიც ნათლად მეტყველებს, რომ ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონი დიანა მჭედლიძე აღმოჩნდა ერთადერთი სპორტსმენი, რომელმაც ორი პირველი ადგილი მოიპოვა.

ასეთ დაძაბულ ბრძოლაში, რესპუბლიკურ ჩემპიონატში, პირველად გაიმარჯვა თბილისის 81-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელმა ნანა ნებიერიძემ, რომელმაც უძლიერესის სახელი კოშკიდან ხტომაში მოიპოვა.

სამწუხაროდ, ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისელები შეჯიბრების მონაწილე ქუთაისისა და აჭარის წარმომადგენელთაგან ვერავითარ კონკურენციას ვერ გრძნობდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ გამარჯვებულთა კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე, პროგრამის ყველა სახეობაში, მხოლოდ მასპინძლები ავიდნენ.

ბუნებრივია, თბილისელებმა გუნდურ პირველობაშიც დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

### შიგ — კვარცხლბეკი

**ქალები. 1-მეტრიანი ტრამპლინი.** დიანა მჭედლიძე — 473,63 ქულა, ნანა ნებიერიძე — 416,25, ეკა ტაბატაძე — 411,57; **3-მეტრიანი ტრამპლინი.** მჭედლიძე — 515,22, ნებიერიძე — 480,81, ნანა ალავიძე — 432,99; **10-მეტრიანი კოშკი.** ნებიერიძე — 384,96, ანა როსტიაშვილი — 355,68, ანა ოჰანესიანი — 336,51.

**ვაჟები. 1-მეტრიანი ტრამპლინი.** გიორგი შელიუგოვი — 550,83, იური შუქუროვი — 492,78; გიორგი ცანავა — 440,79; **3-მეტრიანი ტრამპლინი.** გიორგი ჩოგოვაძე—589,08, შელიუგოვი — 581,46; შუქუროვი — 575,28; **10-მეტრიანი კოშკი.** გოჩა გაზარია — 525,55, ოლეგ ვასილჩენკო — 522,90, ცანავა — 506,92.

**გუნდური:** თბილისი — 348 ქულა, აჭარა — 224, ქუთაისი — 200.



## იტალია-90

# შესარჩევი მატჩები

განახლდა 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. ევროპის VI ჯგუფში მალტის ფეხბურთელებმა ვალეტაში მიიღეს ესპანეთის ნაკრები, გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0. გოლები გაიტანეს გონსალესმა (11-მეტრიანი) და ბეგირისტაინმა.

ესპანელთა გამარჯვება იოლი არ იყო. გუნდის მწვრთნელმა ლ. სუარესმა ვალეტაში გამგზავრების წინ განაცხადა, რომ მალტელ ფეხბურთელთა კლასი მნიშვნელოვნად ამაღლდა, მართლაც, მასპინძლებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეს.

აღსანიშნავია, რომ უხეში თამაშისთვის 73-ე წუთზე მინდვრიდან გააძევეს ესპანელი ფეხბურთელი სანჩისი.

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 3 |
| ჩრ. ირლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 3 |
| ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| მალტა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

● ● ●

აფრიკის კონტინენტზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შერჩევითი ტურნირის ამ ზონის შეხვედრები:

**„ა“ ჯგუფი.** ზიმბაბვე — კოტ დივუარი 0:0.

**„ბ“ ჯგუფი.** კენია — ლიბერია 0:0.

**„დ“ ჯგუფი.** ტუნისი — მაროკო 2:1, ზამბია — ზაირი 4:2.

**„ც“ ჯგუფი.** კამერუნი — გაბონი 3:1, ნიგერია — ანგოლა 2:2.

# „კრასნაია ზვეზდას“ პრიზზე

**მოსკოვის** ცსკა-ს სპორტკომპლექსის ხელოვნურსაფარიან მინდორზე მიმდინარეობს მეგობრული არმიების პირველი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ პრიზზე. აქ გამოდიან სსრ კავშირის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

ტურნირის მონაწილენი დაყოფილი არიან ორ ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში ლიდერობენ მოსკოვის არმიელები, ხოლო მეორეში—გდრ-ის „ფორვერტსი“. მათ 4-4 ქულა აქვთ. ჯგუფური ტურნირები დამთავრდება დღეს, გამარჯვებულები და პრიზიორები კი გამოვლინდებიან შაბათს.

# მინი და დიდი ფეხბურთი გაერთიანდა

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა ციურიხში განაცხადა, რომ აქამდე დამოუკიდებლად არსებული მინიფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიფუსა), რომელიც ხშირად ატარებდა თავის შეჯიბრებებს, შეუერთდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას.

მინიფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში 40 ეროვნული ფედერაცია შედიოდა. ისინი თითქმის იმავე წესებით ხელმძღვანელობდნენ, რომლის მიხედვითაც სულ ახლახან გაიმართა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში. მაგრამ ეს შეჯიბრება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ჩატარდა.

მინიფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურმა პირებმა თანხმობა განაცხადეს, რომ ამიერიდან ფიფა-ს საერთო ხელმძღვანელობით იმუშავებენ.

# „სპარტაკი“ მეორე ადგილზე

**ჟენევაში** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში, რომელშიც მოსკოვის სპარტაკელებიც გამოდიოდნენ.

ტურნირის ფინალურ მატჩში სპარტაკელები პორტუგალიის ცნობილ კლუბს „პორტოს“ შეხვდნენ. თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 2:2, საჭირო გახდა დამატებითი დროის დანიშვნა. აქ უპირატესობას პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა მიაღწიეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:3. სპარტაკელთაგან ამ მატჩში ბურთები გაიტანეს როდიონოვმა, შმაროვმა და ჩერენკოვმა (11-მეტრიანი).

საუკეთესო მეკარის პრიზი სპარტაკელმა სტანისლავ ჩერჩესოვმა დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ ს. ჩერჩესოვმა შვეიცარიაში მანამდე გამართულ ტურნირშიც მოიპოვა საუკეთესო გოლკიპერის პრიზი.

# მეთექვსმეტე ფინალისტი

20 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც თებერვალში გაიმართება საუდის არაბეთში, მონაწილეობის უფლება მოიპოვა სირიის გუნდმა.

ამ ქვეყნის ფეხბურთელებმა დამასკოში დაამარცხეს ავსტრალიის გუნდი — 1:0.

# 35-ე სკოლა კვლავ პირველია

მოსკოვში დამთავრდა ნორჩთა საკავშირო ტურნირი მინიფეხბურთში. საინტერესო ასპარეზობაში, რომლის ორგანიზატორიც ტიმირიაზევის რაიონის საფეხბურთო სკოლა იყო, მონაწილეობდნენ 1976-77 წლებში დაბადებული ფეხბურთელები.

თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდმა ასპარეზობაში მონაწილე 8 კოლექტივს შორის პირველი ადგილი და საპატიო თასი მოიპოვა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დაუმარცხებლად განვლეს მთელი ტურნირი, შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშისა და ბომბარდირის პრიზი გამარჯვებულთა თავდამსხმელ გ. მაშანეიშვილს გადაეცა, რომლის ანგარიშზე 12 გოლია. შეჯიბრებისთვის გუნდი მოამზადეს ა. დარახველიძემ და ს. გილაურმა.

**ს უ რ ა თ ზ ე: ტურნირში გამარჯვებული თბილისის 35-ე სკოლის გუნდი.**

გია ახალაძის ფოტო.



### მეექვსე მწვრთნელი ორწელიწადნახევარში

უნგრეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა 44 წლის ბერტალან ბიშკეი, რომელმაც დიერდ მეზეი შეცვალა. ბიშკეი ბოლო ხანებამდე ბუდაპეშტის „ჰონვედის“ მწვრთნელად მუშაობდა. ნაკრების ახალ ხელმძღვანელს ევალება გუნდის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა და მსოფლიო პირველობის ფინალური საგზურისთვის წარმატებით ბრძოლა.

საინტერესოა, რომ ბ. ბიშკეი ბოლო ორწელიწადნახევარში უნგრეთის ნაკრების მეექვსე მწვრთნელია, ეს კი უმაგალითო შემთხვევაა ფეხბურთის ისტორიაში.

### კუმანის 100 გოლი

„პსვ ეინდჰოვენისა“ და ჰოლანდიის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა რინალდ კუმანმა „გრონინგენთან“ კალენდარულ შეხვედრაში (1:0) თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. ეს მეასე (!) გოლია, რომელიც მცველმა თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე გაიტანა კლუბისა და ნაკრების შემადგენლობაში.



### რუმენიგე არ თმობს

გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი კარლ-ჰაინც რუმენიგე, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, როგორღაც, ჩამოცილდა დიდ ფეხბურთს. იტალიიდან იგი შვეიცარიაში გადავიდა, სადაც დღემდე თამაშობს ჟენევის „სერვეტში“.

ვეტერანმა საკმაოდ მოულოდნელად, თითქმის ძველებური სიძლიერით დაიწყო თამაში. შვეიცარიის ჩემპიონატის პირველ წრეში რუმენიგემ 18 გოლი გაიტანა და ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ მას უკეთეს კლუბში ეკადრება თამაში. რომელში? ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ მიაჩნიათ, რომ რუმენიგე აღარ შერჩება „სერვეტს“.

### მიულერი დააჯარიმეს

„ტორინოს“ ხელმძღვანელობამ დიდი თანხით დააჯარიმა კლუბის მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელი მიულერი, რომელიც სამშობლოში იმყოფებოდა საშობაო არდადეგების გასატარებლად და იტალიაში დაგვიანებით დაბრუნდა.

# ვეტერანები—ბრაზილიაში

**კვლავინდებურად** დიდ ინტერესს იწვევს ვეტერან ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი პელეს პრიზზე, რომელიც ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში მიმდინარეობს.

ბრაზილიელმა ვეტერანებმა მორიგ ტურში დიდი უპირატესობით ითამაშეს არგენტინის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით — 3:0. შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა ინგლისისა და გფრ-ის გუნდების მატჩი, გამარჯვებას ინგლისელებმა მიაღწიეს — 2:1.

გულშემატკივრები სიამოვნებით უყურებენ წარსულის გამოჩენილი ფეხბურთელების თამაშს, რომელთა შორის არიან ბრაზილიელები სერჟიო, პერეირა, ბატისტა, არგენტინელები—ვილასი, ბრინდიზი, მასი, დასავლეთგერმანელები — ოვერატი, ბეკენბაუერი, ბონჰოფი, ბ. ფიორსტერი.

სადღეისოდ ქულათა ასპროცენტიანი შედეგი აქვთ ურუგვაელებს, რომლებმაც 2 მატჩი უდანაკარგოდ განვლეს, ლიდერობენ კი ბრაზილიელები. მათ 3 მატჩში 5 ქულა დააგროვეს.

# გამარჯვება განმეორებით მატჩში

I ლიგა

**საქართველოს** პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელმა ქალებმა თბილისში საკავშირო ჩემპიონატის (I ლიგა) კიდევ ორი შეხვედრა ჩაატარეს ტარტუს უსკ-ისთან. წინასწარ გეტყვით, რომ ერთი ორთაბრძოლა სტუმრებმა მოიგეს, მეორე — მასპინძლებმა (სხვათა შორის, ასეთივე შედეგით დამთავრდა ჩვენი გუნდის ამასწინანდელი გამოსვლა ფრუნზეში ადგილობრივ „სტროიტელთან“).

პირველი მატჩის დასაწყისში ერთგვარ უპირატესობას საქართველოს კალათბურთელები ფლობდნენ, მერე ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ტაიმის დასასრულს მაინც წინ გავიდნენ — 40:37.

შესვენების შემდეგ ორივე მხარე ხშირად ცდებოდა, ჰკარგავდა გადაცემებს, უზუსტოდ ისროდა ბურთს კალათში და მხოლოდ ტანმორჩილი ესტონელი ს. კიკისი იყო მოწოდების სიმაღლეზე. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ესტონელებმა მატჩის მიწურულს ერთგვარ უპირატესობას მიაღწიეს და გაიმარჯვეს — 74:71. კიკისმა თავის კოლექტივს 31 ქულა შესძინა (რვაჯერ განახორციელა ზუსტი 3-ქულიანი სროლა), მედეა მხეიძემ — მხოლოდ 22.

განმეორებით შეხვედრაში მასპინძლებმა გაითვალისწინეს წინა დღით დაშვებული შეცდომები, უფრო მობილურად და ყურადღებით ითამაშეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს — 85:77 (34:47). მატჩის საუკეთესო სნაიპერები იყვნენ მხეიძე და სეპი (25-25 ქულა).



# ჯილდოდ — ინსტრუქტორის მოწმობები

**ჩვენს** დროში უშუ მხოლოდ ეგზოტიკურ სიტყვად აღარ აღიქმება. ამ ჩინურ ტანვარჯიშს, თანაბრად რომ ეხმარება ადამიანს ორთა ბრძოლის დროს თუ ჯანმრთელობის განმტკიცებაში, ჩვენშიც გამოუჩნდნენ მიმდევრები.

1980 წლიდან თბილისში, კიროვის პარკში რეგულარულად ვარჯიშობდა უშუთი გატაცებული ახალგაზრდების ერთი ჯგუფი. მასწავლებლად ჩინელი სპეციალისტი ჰყავდათ, სიუენ ჩჟო შანი კარგა ხანია თბილისში ცხოვრობს და ვარჯიშის აღმოსავლურ მეთოდებს ასწავლის მსურველებს. ის ჯგუფიც, ასე ვთქვათ, კარჩაკეტილად ეუფლებოდა უშუს ბოლო დრომდე, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში უფრო სერიოზულად დაინტერესდებოდნენ წვრთნის ჩინური მეთოდებით.

და აი, თბილისელმა ახალგაზრდებმა ძალა სცადეს უშუს პირველ ფესტივალზე, რომელიც რიგაში გაიმართა. მართალია, იქ საპრიზო ადგილები არ განაწილებულა, მაგრამ ორგანიზატორებმა სხვებისაგან გამოყვეს თბილისელები და სათანადოდ შეაფასეს მათი ოსტატობა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მოგვიანებით ზაგორსკში გამართულ შეკრებაზე ათ მათგანს უშუს ინსტრუქტორის მოწმობა მისცეს.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ღონისძიებები უკვე ოფიციალურ ჩარჩოებში ექცევა, შეიქმნა უშუს ფედერაცია, უფრო გვიან კი — ასოციაცია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ვარჯიშის ამ სახეობას ჩვენს ქვეყანაში. ასოციაციაში შევიდნენ კლუბების, კოოპერატივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

იქნებ ღირდეს დაფიქრება იმაზე, შეიძლება თუ არა ჩამოყალიბდეს უშუს ფედერაცია ან ასოციაცია ჩვენს რესპუბლიკაშიც? მით უმეტეს, სპეციალისტებიც გვყოლია, რომლებიც უკვე ინსტრუქტორის მოწმობებითაც არიან აღჭურვილნი.

სხვათა შორის, საკავშირო ასოციაციის დამფუძნებელ კრებაზე დროებითი გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად აირჩიეს ნუგზარ ძოძუაშვილი, საკავშირო ატესტაციის თავმჯდომარედ — ვალერი გალდავა, გამგეობის წევრად არჩეულია აგრეთვე ჩინური ენის სპეციალისტი დავით ხომერიკი. ასოციაციის თავმჯდომარეა მოსკოველი ალექსანდრ მიხაილოვი.

14 თებერვალს ჩატარდება უშუს საკავშირო ფედერაციის სხდომა, რომელიც განიხილავს ფედერაციისა და ასოციაციის ურთიერთობისა და სხვა საკითხებს.

11 აპრილს კიევში დაიწყება უშუს საერთაშორისო ფესტივალი, რომელზეც მოწვეული არიან ჩინეთის, იაპონიის, ინგლისის, პოლონეთის წარმომადგენლები. მონაწილეთა შორის იქნებიან თბილისელი ახალგაზრდებიც.

**სურათებზე: სიუენ ჩჟო შანი და მისი მოწაფეები.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.**

## ცელეცაიკი - მკითხველი

**პორტლენდი.** აშშ-ს ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში სამხტომი მაიკ კონლიმ მოიგო — 16,83 მ, ჭოკით ხტომაში უძლიერესი კორი ტარპენიგი იყო — 571 სმ, 1000 მეტრზე რბენაში ქალთა შორის კი მერი დეკერ-სლეინი — 2.37,60.

**ნაირობი.** ჩატარდა კენიის პირველობა მძლეოსნურ კროსში. ოლიმპიური ჩემპიონის ჯონ ნგუგის შედეგი მხოლოდ მერვე იყო. პირველი ადგილი 12,5 კილომეტრიან ტრასაზე სემი ბიტოკს ხვდა—35.56.

**შვედტი** (გდრ). აქაურ დახურულ დარბაზში გაიმართა სიმაღლეზე მხტომელთა ტრადიციული შეჯიბრება. გაიმარჯვა (224 სანტიმეტრი დაძლია) მასპინძელმა ტორსტენ მარშნერმა. მეორე ადგილზე გავიდა ევროპის ექს-რეკორდსმენი, ლენინგრადელი ვალერი სერედა — 218 სმ.

**ჰამარსტრანდი** (შვეცია). დამთავრდა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი ციგაობაში. საბჭოთა სპორტსმენთაგან ექვსეულში ვერავინ მოხვდა. ასპარეზობას ლიდერობს დასავლეთგერმანელი გეორგ ჰაკლი. ქალთა შორის დაწინაურდა გერდა ვაიზენშტაინერი (იტალია).

**ლოს-ანჯელესი.** მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ნაჩვენებია რამდენიმე მაღალი კლასის შედეგი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯეკი ჯოინერ-კერსიმ (აშშ) 60 მეტრი 6,68-ში გაირბინა. ჯო დაიელმა ჭოკით ხტომაში 570 სმ დაძლია. სიმაღლეზე ხტომაში სამმა სპორტსმენმა ერთნაირი შედეგი (226 სმ) აჩვენა (ჰოლის კონვეიმ, ბრაიან სტენტონმა და ჯიმი ჰოვარდმა).

**ტამპერე.** სსრ კავშირის ნაკრებმა ყინულზე მოტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრება მოიგო და ახლა ფინალში ოქროს მედლისთვის იბრძოლებს. ძმება იური და სერგეი ივანოვებმა და ვიტალი რუსკიხმა 73 ქულა დააგროვეს. ფინალის მეორე საგზური წილად ხვდათ ფინელებს — 66 ქულა. გადამწყვეტი შეჯიბრება ჩატარდება 11-12 მარტს ასენში (ნიდერლანდები).

**კანი** (საფრანგეთი). 25-მეტრიან აუზში 100 მ. ცურვაში (თავისუფალი სტილით) მსოფლიოს საუკეთესო შედეგი აჩვენა რუმინელმა ლივია კოპარიუმ — 54,31.

**სევილია.** მძლეოსნურ კროსში, რომელიც ქალაქის გარეუბანში გაიმართა, გაიმარჯვა პორტუგალიელმა დომინგო კასტრომ. 10 კმ მან 28.28,0-ში დაფარა.

# ჩამოართმევენ თუ არა პრინცს პრიზს?

**ინგლისის** პრინცი ჩარლზი გარეულია საცხენოსნო სპორტში მომხდარ სადოპინგო სკანდალში: მისმა ცხენმა, ოთხი წლის დევილს ელბოუმ ვერ გაიარა დოპინგ-კონტროლი. ამის თაობაზე იუწყება გაზეთი „დეილი მეილი“.

ტესტი გაკეთდა მას შემდეგ, რაც ჩარლზმა დევილსით ძალზე ადვილად მოიგო ახალგაზრდა ცხენებისთვის გამართული წინაღობებიანი დოღი და მიიღო 680 ფუნტი სტერლინგი პრიზი. ტესტის შედეგად აღმოაჩინეს რამოდენიმე სტიმულატორის — კოფეინის, ტეობრომინისა და ტეოფილინის კვალი.

პრინცის მწვრთნელი ნიკ გაზელი წარსდგება „ჟოკეი-კლუბის“ დისციპლინარული კომიტეტის წინაშე, რომელიც შეუდგა ამ საქმის გამოძიებას. როგორც ეტყობა ჩარლზს კომიტეტში არ გამოიძახებენ. „კომიტეტი დაჰკითხავს მხოლოდ მათ, ვინც უშუალოდ უვლიდა ცხენს, ეს კი, პირველ ყოვლისა, მწვრთნელია“ — თქვა „ჟოკეი-კლუბის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა დევიდ პაიპმა.

იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება დაადგენს, რომ სტიმულატორები წინასწარი განზრახვით იყო შერეული საკვებში, დოღის შედეგები გაუქმდება და პრინცი დაკარგავს პრიზს.

## ელვა-ინფორმაცია

**მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდის მთავარ მწვრთნელად არჩეულია ამ გუნდის ყოფილი წევრი და კაპიტანი ოლეგ რომანცევი. ეს გადაწყვეტილება მიღებულია კოლექტივის საერთო კრებაზე.**

**სპარტაკელთა ახალი თავკაცი 35 წლისაა. მან 1983 წლიდან დაიწყო მწვრთნელად მუშაობა — თავდაპირველად ხელმძღვანელობდა კლუბ „კრასნაია პრესნიას“, შემდეგ — ორჯონიკიძის „სპარტაკს“.**

## „სპორტპროგნოზი“

**04 ტირაჟის შედეგები (21-22 იანვარი)**

1—X, 2—1, 3—1, 4—X, 5—1, 6—X, 7—1, 8—2, 9—X, 10—1, 11—2, 12—X, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

## კალეიდოსკოპი

### სპორტული კარიერის დასასრული

**ცნობილმა** სამთო-მოთხილამურემ, 32 წლის შვედმა ინგემარ სტენმარკმა მტკიცედ გადაწყვიტა, თავი დაანებოს სპორტს. აპრილში მოეწყობა მისი გამოსათხოვარი გამოსვლა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს უძლიერესი სამთო-მოთხილამურეები.

სტენმარკმა მსოფლიო თასის გათამაშებაში პირველ წარმატებას 1974 წელს მიაღწია, უკანასკნელად კი ამ შეჯიბრებაში 1987 წელს გაიმარჯვა, 30 წლის ასაკში. სულ კი მსოფლიოს თასზე მას 85 გამარჯვება აქვს მოპოვებული. ეს სათხილამურო სპორტის ისტორიაში უნიკალური, სარეკორდო მაჩვენებელია.

გამოსათხოვარ შეჯიბრებაში გამოვლენ ბოლო 15 წლის აღიარებული ფავორიტები — გუსტავო ტონი, პიერო გროსი, ანდრეას ვენცელი, ბოიან კრიჟანი, პირმინ ცურბრიგენი, მარკ ჟირარდელი, ალბერტო ტომბა და სხვები. ორგანიზატორების აზრით, ამ შეჯიბრებას 30 ათასი მაყურებელი დაესწრება. შემოსავალი გადაეცემა ი. წ. სტენმარკის ფონდს, რომელიც შეიქმნა ახალგაზრდა შვედი მოთხილამურეების დასახმარებლად.

სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ სტენმარკი დასახლდება მონაკოში და იქნება იუგოსლავიის კომპანიის „ელანის“ აგენტი ევროპაში, იაპონიასა და აშშ-ში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ელანი“ სტენმარკის მთავარი სპონსორი იყო წლების განმავლობაში.

### ბილეთები თებერვალში გაიყიდება

რომში და იტალიის სხვა ქალაქებში თებერვლის პირველ რიცხვებში დაიწყება ფეხბურთელთა 1990 წლის ფინალური ტურნირის მატჩებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა. ორგანიზატორთა განცხადებით მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ ყველა შეხვედრაზე დასასწრები აბონემენტები, რომლებიც 12 სხვადასხვა ქალაქში გაიმართება. ერთი ბილეთის ფასია 15 ათასიდან 130 ათას ლირამდე, ანუ 11-დან 100 დოლარამდე.

როგორც ცნობილია, ჩემპიონატის პირველი მატჩი მილანში მოეწყობა, ფინალური შეხვედრა კი — რომში. ამ ორი თამაშის ბილეთები გაიყიდება ცალკე, არაუადრეს მიმდინარე წლის დეკემბრისა.

### გაიზარდა ინტერესი

ავსტრალიის სატელევიზიო კომპანიამ ანტ-მ ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციის უფლებაში 33,75 მილიონი დოლარი გადაიხადა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანალოგიური გარიგება სეულის XXIV ოლიმპიადის ორგანიზატორებთან კომპანიას 10,5 მილიონი დოლარი დაუჯდა.

ამასთან დაკავშირებით ბარსელონის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ მსოფლიოში ერთი-ორად გაიზარდა ინტერესი ოლიმპიადებისადმი და საორგანიზაციო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ბარსელონის თამაშები ესპანეთისთვის წამგებიანი ღონისძიება არ იქნება.

### შესვენებები ტურნირებს შორის

შეიქმნა ახალი საჩოგბურთო ორგანიზაცია — პროფესიონალთა ასოციაცია (ატპ), რომელმაც შეიმუშავა თავისი პირველი სეზონის პროგრამა (ეს სეზონი, როგორც ცნობილია, 1990 წლიდან იწყება). პროგრამა მოიცავს 77 ტურნირს, რომლის საპრიზო ფონდი 38 მილიონ დოლარს შეადგენს.

ახლადშექმნილი ორგანიზაციის წარმომადგენელმა ჰემილტონ ჯორდანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა:

— ჩვენ მხარს გვიჭერს მსოფლიოს ყველა წამყვანი ჩოგბურთელი, ამიტომ ვალდებული ვართ, მათ კანონიერ მოთხოვნებს ყურადღება მივაქციოთ. ერთ-ერთ სიახლედ მიმაჩნია ზოგიერთ შეჯიბრებებს შორის სამკვირიანი დასვენების მოწყობა. არავისთვის დასამალი არ არის, რომ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები ხშირად ვერ უძლებენ ფსიქოლოგიურ დაძაბულობას და ამის გამო ეცემა მათი თამაშის ხარისხი. ჩვენ ყოველნაირად შევეცდებით მოვუხსნათ მათ ეს დაძაბულობა.

### საიდ აუიტას დებიუტი

მაროკოელმა მორბენალმა საიდ აუიტამ განაცხადა, რომ მისი წლევანდელი დებიუტი 3 თებერვალს შედგება აშშ-ში. ამ დღეს ტრადიციულად ტარდება ამერიკაში საკმაოდ პოპულარული შეჯიბრება „მილროუზ გეიმზი“. წლევანდელ ტურნირს „მედისონ სკვერ გარდენი“ — მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დახურული მძლეოსნური სტადიონი უმასპინძლებს.

აუიტა, როგორც ცნობილია, მსოფლიო რეკორდებს ფლობს 1500, 2000, 5000 მეტრზე და 2 მილზე რბენაში. ამჯერად კი იგი 3000 მეტრიან დისტანციაზე გამოვა. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მაროკოელ მძლეოსანს ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევენ ამერიკელები სტივ სკოტი, ბრაინ ებშაირი, დუგ პადილია და კენიელი ჯულიუს კარიუკი.

კალეიდოსკოპი



**27, 28 და 29 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება ტრადიციული XXVIII საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.**

მონაწილეობენ: გდრ-ის, ბულგარეთის, კუბის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის, ამერიკის, თურქეთის, კანადის, ირანის, გფრ-ის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უძლიერესი ფალავნები.

დასაწყისი 11 და 18 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05709